# ცნობის ფურცელი

№ 1958 | შაბათი, 19 ოქტომბერი | 1896—1902 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 1958

ხელისმოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზედ უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ტელეგ. ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.



„ცნობის ფურცლის“ რედაქციისაგან

მდგომარე წლის 15 ნოემბრიდან

## სურათებიანი დამატება

### გამოვა კვირაში ორჯერ

ხუთშაბათობით და კვირაობით.

ფასი წინანდელი დარჩება, ესე იგი, „ცნობის ფურცელი“ დამატებით ეღირება წელიწადში 6 მანეთი.

ჟურნალ „მოამბის“ ხელის მომწერთ „ცნობის ფურცელი“ გაეგზავნებათ ორივე დამატებით.

„მოამბის“ წლიური ფასი 10 მან., ქალაქ გარედ გაგზავნით—11 მან.

ვინც მომავალ 1903 წლისათვის დაიკვეთავს გაზეთს ან ჟურნალს და წლიურს ფასს წინადვე შემოიტანს, გამოცემანი გაეგზავნება მდგომარე წლის 1 დეკემბრიდან მომავალ 1903 წლის დამლევამდე.

ხუთშაბათის დამატების ნომრებში დაიბეჭდება ემილ ზოლას უკანასკნელი რომანი **ჭეშმარიტება „Verite“**.

მთავრობის ნებართვით სამს ღვინობის თვიდან გაიხსნა

## ახალი მეთორმეტე აფთიაქი

პროვიზორის ნიკოლოოზ ივანეს ძის

## ბაზიეროვისა.

პესკის ქუჩა, სახლი № 26. (10—5)

წარმოდგენა 7. ტელეფონი 617

◆ დილის წარმოდგენა ◆

## ქართული თეატრი

კვირას, 20 ოქტომბერს 1902 წ.

მესამე იაფ-ფასიანი წარმოდგენა

ქართულ დრამატიულ დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

მძლიერ დაკლებული ფასებით

შუადღის 12 საათზედ

პირველად ახალი პიესა

## შრომის ლუკმა

კომედია 4 მოქმ. ოსტროვსკისა, თარგ. ი. ევდოშვილის მიერ.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ოლ. ლეჟავა, ნ. რონელი, როსტომაშვილი და სხ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, კ. შათირიშვილი და სხვანი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 4 მანეთიდან 8 მანეთამდე, პარტერი 50 კ-დან 1 მ. 50 კ-დე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მანეთამდე, გალერეა 20 კ-დან 35 კ-მდე. შეგირდებისთვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

**დასაწყისი შუადღის 12 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად: „სტუმარი“, „ავადმყოფნი“, „პატიოსნება“, „უბედურ ვარსკვლავზე“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკვრელად. რეჟისორი ვ. გუნია.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

## ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

## ტფილისის

## კერძო სამკურნალო

**გედევანიშვილისა.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

**ვ. ი. ჩიჩინაძე**—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

**ნ. ტ. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—შინაგანი 9—10 საათამდე.

**ა. ზ. მალალაშვილი**—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

**ა. მ. ელიოზიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

**დ. ა. გედევანიშვილი,** შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**მ. მ. მანსვეტოვი.** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—11.

**ა. ზ. ზარუბოვი**—ქალთა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

**მრ. მ. სობოლევსკი**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

**ი. ნ. თუმანიშვილი**—ქალთა სნეულებანი 5—6 საათამდე.

**ა. ზ. მალალაშვილი**—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.**

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ხაგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

## მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი

(ტელეფონი № 617)

დღეს, შაბათს, 19 ოქტომბერს, ხარკოვის საოპერო დასის მიერ,

არტისტის ა. პ. ბონაჩიჩის საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქნება

## პიკოვაია დამა

ოპერა 3 მოქმედ. 7 სურ. მუსიკა ჩაიკოვსკისა.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი ზორინისა, კარამზინა-ჟუკოვსკისა, არციბაშევისა, სკორუპსკისა, გრინჩენკო და სხვანი; ბ-ნნი: ბონაჩიჩი, სერგეევი, გრადოვი, კაზიმირო, პეტროვი, სვობოდინი და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

კასსა ღიაა დილის 10-დან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღ. 6 საათიდან წარმოდგენის გათავებამდე.

მზადდება წარმოსადგენად ოპ. „**მარგალიტების მაძიებელნი**“, მუსიკა ბიზესი.

მთავარი რეჟისორი **ივ. პითოევი.**

(ნ. 0—26)

## ქ. ფოთში

გაიხსნა წიგნის მაღაზია საკანცელარიო და სამოსწავლო ნივთებით. ვღებულობთ ქართულ წიგნებს საკომისიოდ.

(4—4) **ძმები ხაზახჭარაშვილები.**

ექიმი

## ვ. ლამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან.


## დიდი საქმე

(დასასრული *)

III

სამაზრო ქალაქი.

6. აქამდე ლაპარაკი გვქონდა იმაზე, რომ შესაძლებელიცაა, თან სასურველიც სოფლებისა და თემებში ხალხის შრომის ნაყოფიერება და მოხმარების უნარი გავაძლიეროთ; მაგრამ თუ რა დანიშნულება აქვთ სამაზრო და საგუბერნიო ქალაქებს, ამაზე კი არა გვითქვამს რა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო. პირველად მთელის ხალხის წარმოებისა და კულტურულ მოქმედების ძირითადი ფაქტორები უნდა აგვეხსნა; უმთავრეს ქალაქების დანიშნულება ხომ თავის თავადაც გამოირკვევა ახლად დაწესებულ წყობილების ხასიათისა და მოთხოვნილების დაკვალად. მართლაც, ყველა ჩვენგან მოსაზრებულ ქარხნებისა, სკოლებისა, ელევატორებისა, ამშენებელ და საკოოპერაციო ამხანაგობისათვის და შემდეგში მერძეობის, მეთევზეობის და მთელის სასოფლო მეურნეობის და ყოველის ტეხნიკის განსავითარებლად საჭირო იქმნება უმთავრესი საკრედიტო, სავაჭრო, სამეცნიერო და სატეხნიკო დაწესებულებანი და ესენი, რაღა თქმა უნდა, სამაზრო ქალაქში იქნებიან დაარსებულნი. იქვე დაარსდება სატეხნიკო და სამიწათმოქმედო უმაღლესი სკოლები, საქალებო და სავაჟო საშუალო სასწავლებლებთან ერთად; იქვე გაიმართება გლეხ-კაცთა ნაწარმოების საწყობი, ბირჟები და შენობანი გამოფენისა, საჯარო ლექციებისა და ბიბლიოთეკებისათვის. აქვე გაიმართება სატეხნიკო, სასკოლო, საფოსტო და საგზო გამგეობებიც და დასასრულ აქვე დაარსდება სამაგალითო ქარხნები და ფერმები, სტამბა სახელმძღვანელოებისა, ბლანკებისა, რვეულებისა და ყველა იმის დასაბეჭდათ, რაც კი საჭიროა ადმინისტრაციისა, მეურნეობისა და სკოლისათვის.

საგუბერნიო ქალაქის დანიშნულებაც თავის თავად გამოირკვევა: საგუბერნიო ერობისა და სამინისტროს დაწესებულებანი შეაერთებენ და ხელმძღვანელობას გაუწევენ სოფლებისა, თემებისა და მაზრების მოქმედებასა და მოთხოვნილებას. ეხლავე მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: საგუბერნიო ქალაქი ორ მილიონ მცხოვრებლისათვის ეკონომიურ და გონებით ცხოვრების უმთავრესი ადგილია. მცხოვრებთა მოთხოვნილება და წარმოება თან-და-თან გაძლიერდება და განვითარდება. ოცის წლის შემდეგ ეკონომიურ განვითარების მსვლელობა საგუბერნიო ქალაქს **იძულებულ ჰყოფს** საგუბერნიო ერობის ხარჯით დააარსოს და შეინახოს უნივერსიტეტი, მუზეუმი, პოლიტეხნიკუმი, სახელოსნო სასწავლებლები, სურათების გალერეიები, საოპერო თეატრი და სხვა-და სხვ. სიტყვა ის არის, რომ საგუბერნიო ქალაქი მოახერხებს და შეიძლებს კიდეც ყველა ზემოხსენებულ დაწესებულების დაარსებასაცა და შენახვასაც... არა გჯერათ, განა? არაკსა ჰგავს, არა?..

არაკი! მაშ პაწია დანია, სადაც სულ 2,185,335 მცხოვრებელია, როგორღა ჰხარჯავს 38 მილიონ მანეთს სახელმწიფო საჭიროებისათვის და ამავე დროს 2,780 სასოფლო სკოლას ინახავს, 21 სამიწათ-მოქმედო და მებოსტნეობის სკოლას, 67 სახალხო საშუალო სასწავლებელს, 31 საშუალო სკოლას, სადაც ლათინურ ენასაც ასწავლიან, ერთს საბეითალო და ერთს საფარმაცევტო სკოლას, ხელოვნებათა აკადემიას და უნივერსიტეტს? რა ნაირად მოახერხეს, რომ 1900 წელს დანიის სასოფლო სკოლებში 307,630 ბავშვი სწავლობდა, უმაღლეს სასწავლებლებშიაც—56,460 ყმაწვილი კაცი. რა მიზეზია? ის მიზეზია, რომ მთელი დანია მოფენილია გლეხთა ასოციაციებით, სავსეა მწარმოებელ და შემმუშავებელ ამხანაგობებით... ერთის სიტყვით, ის მიზეზია, რომ იქაურ ხალხს ზამთარ-ზაფხულ სამუშაო აქვს, იქაური გლეხ-კაცობა შეძლებულია, უბრალო წერა-კითხვის ცოდნას არა სჯერდება და წიგნებსა და ჟურნალებსაც ჰკითხულობს... ეს ზღაპარი კი არა, ნამდვილზე უნამდვილესი ამბავია. საარაკო მხოლოდ ის არის, თუ რა სწრაფად განვითარდა დანია..

1866 წელს პრუსიელებისა და ავსტრიელების ბარბაროსულმა შემოსევამ პაწია დანია ნაკუწ-ნაკუწად დაგლიჯა, მთლად დალუპა და მიწის პირად გაასწორა. მაშინ ყველა წოდების საუკეთესო პირები სოფლებსა და პატარა ქალაქებში მოეფანტნენ და ყველგან სკოლები, ბიბლიოთეკები, სახალხო კითხვები გამართეს და წარმოების სხვა-და-სხვა ხერხი და საშუალება შეასწავლეს ხალხსა. ნამეტნავად დიდი სარგებლობა იმით მოუტანეს ხალხს, რომ ყველგან მწარმოებელი და სავაჭრო კოოპერაციები დააარსეს. დანიის კოოპერაციების ყველმა, ერბომ, კვერცხმა, ლორმა, საკლავმა საქონელმა და ფრინველმა პირველი ადგილი დაიჭირეს ინგლისის ბაზარში. მაგრამ დანიას და იქაურ გლეხთა ამხანაგობებს ყველაფერი, რასაც ამზადებენ, საზღვარ-გარედ როდი გააქვთ. იქაური ხალხი შეძლებულია, პირის პატივსა და სუფთად ჩაცმა-დახურვას მისდევს და ამიტომ თავის თავზე საკმაოდ ბევრსა ჰხარჯავს. იქაური სოფლის ხალხი დღეში კაცის თავს სამსა და ხუთს კაპეიკს კი არა, 15 და 20 კაპეიკსაც ჰხარჯავს.

ჩვენ ხომ კაცის თავს 20, 15 და 10 კაპეიკის მაგიერ მარტო 6—7 კაპეიკს ვანგარიშობდით. განა ჩვენ უვარგისი ხალხი ვართ? მთელი ერი, მთავრობა და ერობა საერთოდ რომ ეცადნენ, განა ჩვენი ქვეყანა კი ვერ მიაღწევს პატარა დანიის სიმდიდრესა და განვითარებას? იმას მაინც ვერ მოვახერხებთ, რომ ჩვენშიაც ყოველი კაცი თავის თავზე დანიელ კაცის მესამედს ჰხარჯავდეს, ესე

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1956.

იგი 6—7 კაპეიკს დღეში?.. და თუ მოვახერხეთ, მაშინ სოფლებისა და სამაზრო ქალაქების განვითარებულ მოთხოვნილებისა და წარმოების წყალობით საგუბერნიო ქალაქები მწარმოებელ, კულტურულ და გონებით მოქმედების უმთავრეს ადგილებად გადაიქცევიან.

შვეიცარიაში ვოდის კანტონს სულ 280,000 მცხოვრები ჰყავს, ნევშატელის კანტონს—125,800 მცხ., ჟენევისას—131,674 მცხვ., მაგრამ ამ პაწია კანტონებს დაარსებული აქვთ უნივერსიტეტები, თეატრები, სატეხნიკო და საგრონომო სკოლები. რაც ამ პატარა კანტონებმა მოახერხეს, იმას ჩვენი საგუბერნიო ქალაქებიც მოახერხებენ, იმ პირობით კი, რომ ჩვენი ხალხიც განათლდეს და წარმოებისა და მოხმარების უნარი გაიძლიეროს. რასაკვირველია, ერთბაშად კი ვერ მივაღწევთ ამ განვითარებას. დანიაშიაც ასე იყო და ჩვენც, რაღა თქმა უნდა, პირველ გასახარო და სანუგეშო ნაყოფს მხოლოდ ათის წლის დამლევს დავინახავთ; ფეხს მხოლოდ ოცის წლის შემდეგ მოვიმაგრებთ. მაგრამ ჩვენგან ნაჩვენები გზა და გაკვრით აღნიშნული საშუალებანი აუცილებლად სასურველ მიზნამდე მიგვიყვანენ, თუ, რასაკვირველია, ჩვენი საგუბერნიო, სამაზრო და წოდებრივი დაწესებულებანი და საზოგადო მოღვაწენი კაის გულითა და ცოდნით მოეკიდებიან საქმეს. დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველანი სინიდისიერად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ორმოც-და ხუთის წლის წინად, როცა გლეხთა განსათავისუფლებლად კომიტეტები დაარსდა, რუსეთში მრავალი უანგარო და ნიჭიერი მოღვაწე გამოჩნდა. ეხლა ხომ გაცილებით მეტი გამოჩნდება! ჩვენის დროის რუსეთი ბატონ-ყმობის დროის რუსეთი როდია... ჩვენი პროვინცია, ჩვენი მაზრები და გუბერნიები კარგად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ადვილად მოახერხებენ, რომ მთელს ჩვენს ხალხს და ნამეტნავად ყველასაგან დავიწყებულს და განათლებისაგან აბუჩად აგდებულს სოფლის ხალხს, შრომის ნაყოფიერება და მოხმარების უნარი გაუძლიერონ.

7. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობა, რომელმაც სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამორკვევა მოისურვა, ხელს შეუწყობს ამ მრეწველობის გაძლიერებას. საჭიროა მხოლოდ ადგილობრივმა ერობებმა და წოდებათა წარმომადგენლებმა სავსებით და გარკვეულად შეუმუშაონ პროგრამმა. ჯერ-ჯერობით ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო მრეწველობის უმთავრეს მხარეებს: პურის ვაჭრობის მოწყობას, მეთევზეობას, მიწათ-მოქმედებას, ტყის მოვლა-მოშენებას და სხვას. მაგრამ ამას გარდა ერობებმა და სხვა დაწესებულებებმა შეიძლება ეხლავე მიჰმართონ მთავრობას და სთხოვონ დაარსება **მოძრავ** უნივერსიტეტებისა, სატეხნიკო და საავრონომო კურსებისა, გამოფენებისა, ლაბორატორიებისა, სანიმუშო ფერმებისა და სახელოსნოებისა. მთავრობა მით უფრო მოისურვებს შუამდგომლობების განხორციელებას, რომ ზემოდ ჩამოთვლილ საქმეების მოწყობა, როგორც უკვე დავინახეთ, მძიმე ტვირთად ვერ დააწვება სახელმწიფო ბიუჯეტს. ის მთავრობა, რომელმაც უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში 200 მილიონი მანეთი მოახმარა მოუსავლობის მსხვერპლებს, უარს არ იტყვის ორ-სამ მილიონზე ხალხის წარმოების და მომხმარებლობის ძალთა განსავითარებლად.

საქმის დასაწყებად მილიონები არც კი იქმნება საჭირო. პირველ წელიწადს საკმაო იქმნება ხუთი მატარებელი, თითო რვა ვაგონიანი... ერთ მატარებელში შეიძლება გაიმართოს სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, მეორეში—სატეხნიკო, მესამეში—სამანუფაქტურო, მეოთხეში—საისტორიო-სამხატვრო, მეხუთეში—პრაქტიკულ ცოდნათა მუზეუმი. თითო მატარებელში ორი ან სამი ვაგონი რომ ლექტორებსა და ტეხნიკოსებს დაეთმოთ საცხოვრებლად, ხუთ-ექვს ვაგონში შეიძლება მოთავსდეს სრული კოლექცია თვითეულ ზემოდ ჩამოთვლილ დარგისა. ასეთი მატარებელი-მუზეი შეიძლება გაიგზავნოს პროვინციის ყველა ქალაქის სადგურზე, სადაც დაჰყოფს ორ კვირას, ერთ თვეს ან მეტ ხანს. ამ დროს ლექტორი წაიკითხავს ყველასათვის გასაგებ კურსებს, აჩვენებს ნივთებს და აუხსნის ყველაფერს. პოპულიარულ კურსებისთვის სრულიად საკმაოა ერთი თვე. ერთის თვის შემდეგ მატარებელი სხვა ქალაქისკენ გასწევს, ხოლო იმის ნაცვლად მეორე მატარებელი მოვა, მერე მესამე და ასე რიგ-რიგად.

რა დაჯდება ასეთი მატარებელი? არა გვგონია, ამ საქმეს დიდი ფული დასჭირდეს. უფრო ცოტა დასჭირდება იმის შენახვას. ჩვენის აზრით, ლექტორებად უნდა იყვნენ უცხოლ-შვილონი, ახალ-გაზდანი, საქმის მოყვარულნი, რომელთათვისაც 100—150 მანეთი თვეში (თითოს) სრულიად საკმაო იქმნება. ტეხნიკოსებს და მოსამსახურეებს თვეში 200 მ. ეყოფათ. სულ ერთ მატარებელ-აუდიტორიის შენახვას წელიწადში მოუნდება 6000 მანეთი, ხოლო ხუთივეს—30,000 მანეთი. თითო მატარებლის განათება-გათბობა რომ 600 მანეთი ჩავაგდოთ, მთელი ხარჯი წელიწადში 33 ათას მანეთით გამოიხატება. დამეთანხმე, მკითხველო, რომ ეს მეტად მცირე ხარჯია. ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ერთის ან ორის წლის შემდეგ ამ საქმისთვის მეტ ფულს გაიღებენ მთავრობა, ერობა, ქალაქი და კერძო კაცებიცკი, ასე რომ ხუთის მატარებლის მაგიერ ასი და ორასი გაჩნდება. შეიძლება ასევე მოეწყოს გემები ვოლგასა, დნეპრსა, დონსა და სხვა მდინარეებზე. ხალხი ყველგან სიხარულით მიეგებება ამ მეცნიერების და ცოდნის გამავრცელებელ ტაძრებს.

—

აი მოკლედ ის საშუალებანი, საეკონომო და სხვა ღონისძიებანი, რომელთა მეოხებითაც მთელ სახელმწიფოს შეუძლიან კრიზისისაგან თავის დაღწევა. მე პროექტის შედგენას როდი შევდგომივარ: დავასახელე მხოლოდ უმთავრესი საჭიროებანი და ამ საჭიროებათა დამაკმაყოფილებელი საშუალებანი. მე მინდა მხოლოდ გონიერ კაცთა ყურადღება მივაქციო საეკონომიო პოლიტიკის იმ პრინციპებს, რომელთა წყალობით ჩვენი ქვეყანაც შესძლებს 20—30 წლის განმავლობაში კეთილ-დღეობისა და განათლების გზაზე დადგომას. საჭიროა ინტერესი საქმისადმი, თორემ მცოდნე და გამოცდილი კაცები ყოველთვის გამოჩნდებიან. ისინი პროექტსაც შეიმუშავებენ, ხარჯთ-აღრიცხვასაც შეადგენენ და საქმის განხორციელებასაც შესძლებენ.

დიახ, მცოდნე, დახელოვნებული და საქმის მოყვარე კაცები გამოჩნდებიან. ღმადა ვარ დარწმუნებული. მხოლოდ ამ რწმენამ გამომათქმევინა ჩემი აზრი. W.

## საზღვარ-გარედ

**ოსმალეთი.** ამას წინად „ტაიმს“-ში ამნაირი დეპეშა იყო დაბეჭდილი: მაკედონიიდან 600 სული ბერიკაცი, დედაკაცი და ბავშვი ოსმალებს ბოლგარიაში გაექცაო, ოსმალებმა ხუთი სოფელი დაუწვეს ბოლგარებსაო და მაკედონიის კომიტეტმა ევროპაში დეპეშები გაგზავნა და სახელმწიფოებს დახმარება სთხოვაო. ამ დეპეშის გამო ოსმალეთის მთავრობამ თავის ელჩებს ევროპაში დეპეშა გაუგზავნა და მაკედონიის მოძრაობის ამბავი დაწვრილებით შეატყობინა. ოსმალეთის მთავრობის განცხადებიდან სჩანს, რომ აჯანყებულ ხალხის დასამშვიდებლად „ყველა ქვეყნების ჩვეულების თანახმად“ სამუდამო ჯარი გაუგზავნიათ. ჯარმაც „დაწესებულ სამხედრო კანონებისა და ჩვეულების“ თანახმად იმოქმედა და ამ გზით ორიოდე დღის განმავლობაში აჯანყების ალი ჩააქრო. მოძრაობის მეთაურნი „მთლად დამარცხდნენ“. აჯანყებულ სოფლების მცხოვრებნი თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ, თავიანთ თავი ხონთქრის ქვეშევრდომად იცნეს და ხონთქარმაც მოწყალება მოიღო და ხალხს დანაშაული აპატივა.

**ინგლისი.** შარშან ცნობილმა ამერიკელმა მილიარდერმა ანდრიუ კარნეჯიმ 20 მილიონი დოლარი შესწირა შოტლანდიის ყველა უნივერსიტეტებს. წმ. ანდრიას უნივერსიტეტმა მადლობის გადასახდელად კარნეჯი საპატიო რექტორად აირჩია. წარსულ ოთხშაბათს კარნეჯი ფორმალურად შეუდგა ახალ თანამდებობის აღსრულებას და ამ შემთხვევის გამოისობით საყურადღებო სიტყვაც წარმოსთქვა.

კარნეჯიმ სთქვა, ამერიკა თან-და-თან ძლიერა სჯაბნის ინგლისს ვაჭრობასა და მრეწველობაშიო. ზოგიერთ დარგში ინგლისს გერმანიაც სჯაბნისო. ინგლისელებმა—ნაკლები უნდა სვან, ნაკლები თამბაქო მოსწიონ, სპორტსაც ნაკლები დრო მოანდომონ და მრეწველობის გაძლიერებაზე მეტი იფიქრონ. მაგრამ ამერიკის კონკურენცია მარტო ინგლისს კი არ ემუქრის, მთელ ევროპისათვისაც ძლიერ საშიშია ამერიკის მოცილეობაო. ევროპა ამხედრებულ ბანაკს წარმოადგენს, გაყოფილია მრავალ სახელმწიფოდ, სახელმწიფოები ერთმანერთს უნდოთ უცქერიან, ერთი მეორისაგან სატამოჟნო ღობეებით არიან გაღობილნი. შეერთებული შტატები კი 55 სახელმწიფო შტატის კავშირია; ყველა ეს პატარა სახელმწიფოები მილიტარიზმისა და სამხედრო ბეგრისაგან თავისუფლები არიან. შეადარეთ შეერთებული შტატები და ევროპა და დარწმუნდებით, რომ ევროპას ამერიკასთან ბრძოლა არ შეუძლიან, რადგანაც ამერიკა ტყუილ-უბრალო ხარჯებისაგანაც თავისუფალია და თავის ნაწარმოების გასასაღებლად მუდმივი შინაური ბაზარიც აქვს. თუ უნდათ, რომ ამერიკას შეებრძოლნენ და ბრძოლიდან გამარჯვებულნი გამოვიდნენ, ევროპის სახელმწიფოებმა უსათუოდ პოლიტიკური და სამრეწველო კავშირი უნდა შეჰკრან, ესე იგი ევროპის შეერთებული შტატები დააწესონ. მხოლოდ ამ გზით შეუძლიანთ ევროპის სახელმწიფოებს დამღუპველ მილიტარიზმის და სატამოჟნო ომის ტვირთი თავიდან მოიგდებინონ. სატამოჟნო ომი ხომ ძლიერ აბრკოლებს მრეწველობის განვითარებასაო. ორატორის აზრით, ეს საქმე იმპერატორმა ვილჰელმმა უნდა ითავოსო.

✦ ირლანდიელები არ იშლიან და ისევ დაჟინებით თხოულობენ, ირლანდიის საქმეთა განსახილველად ცალკე დღე დაინიშნოსო. წარსულ ოთხშაბათს ირლანდიელი დეპუტატი ო'ბრაიენი კიდევ შეეკითხა ბალფურს, თანახმა ხართ, ირლანდიის მდგომარეობის განსახილველად დღე დაჰნიშნოთო. ო'ბრაიენის შემდეგ ლიბერალების ლიდერი კემპბელ-ბანერმანი წამოდგა და გამოაცხადა, ირლანდიელების მოთხოვნას ვემხრობიო. ბალფურმა უპასუხა, დღეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავნიშნავ, თუ კემპბელ-ბანერმანი, ოპოზიციის მეთაურის სახელით ირლანდიის პოლიტიკისათვის გაჰკიცხავს მთავრობას. კემპბელ-ბანერმანმა უარი გამოაცხადა და სთქვა, ეგეთი წინადადება ირლანდიელებმა უნდა შემოიტანონ და არა ლიბერალების მეთაურმაო. ბალფური არ დაეთანხმა ოპოზიციის წინამძღოლს და კიდევ განმარტა, თუ რა პირობით შეუძლიან დღის დანიშვნა. მაშინ ო'ბრაიენმა ჰკითხა ბალფურს: მთავრობამ იცის, რომ შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა ირლანდიის შეერთებულ ლიგის კრებას ბოსტონში დეპეშა გამოუგზავნა და ირლანდიელებს თანაგრძნობა გამოუცხადა? ინგლისისა და ამერიკის მეგობრობის დასამტკიცებლად, ურიგო არ იქნება მთავრობამ გამოაცხადოს, რომ მზადაა რუზველტისაგან ისწავლოს ირლანდიის საქმეების მართვა. სწადიან მთავრობას ესეთი განცხადება გაუგზავნოს რუზველტს, თუ არა? (სიცილი). სპიკერმა (პალატის თავმჯდომარემ) გააჩერა ო'ბრაიენი: ეგ კითხვა მორიგ საქმეთა სიაში არა სწერიაო. მაშინ ირლანდიელმა დეპუტატმა გამოაცხადა, წინადადებას ვიძლევი, პალატის სხდომა გადავდოთ იმ აზრით, რომ ისეთ მნიშვნელოვან საქმეზე მოვილაპარაკოთ, როგორიცაა რუზველტის დეპეშაო. მაგრამ სპიკერი არ დასთანხმდა და დეპუტატის წინადადება პალატას არ გაარჩევინა.

ირლანდიელებმა თითქმის მთელი საათი ილაპარაკეს. კონსერვატიული გაზეთები ძლიერ უწყრებიან ირლანდიელებს: ის არა კმაროდა, რომ პარლამენტს ტყუილ-უბრალოდ დროს აკარგვინებდნენ, ეხლა მეგობარ რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელიც კი ახსენეს კამათის დროსაო. გაზეთები ამბობენ, რუზველტს ბოსტონში თანაგრძნობის დეპეშა არ გაუგზავნიაო.

**საფრანგეთი.** იუსტიციის მინისტრმა პროკურორებს ცირკულიარი გაუგზავნა, მადნის მუშების საყოველთაო გაფიცვა გაახსენა და სთხოვა, შრომის თავისუფლება დაიცვეთ და ვინც ამ თავისუფლებას დაარღვევს, სამართალში მიეცითო. მაგრამ ფრთხილად კი მოიქეცითო, არავინ იფიქროს, რომ კანონით ნებადართულ გაფიცვის თავისუფლებას ვზღუდავდეთო.

**ავსტრო-ჰუნგრეთი.** რეიხსრატის მეორე სხდომის დასასრულს დიდი აყალ-მაყალი მოხდა. ჩეხებმა დაუყოვნებლივი წინადადება შეიტანეს ჩეხურ ენის უფლების შესახებ სილეზიაში. წინადადების ავტორი ამტკიცებდა, გერმანელები სილეზიის სეიმში ბატონობენ და ამიტომ, რასაც უნდა, იმას სჩადიანო. მთავრობა უსათუოდ უნდა გაერიოს საქმეში, თუ მართლა სწამს ეროვნულ თანასწორობის პრინციპიო. გერმანელმა ორატორებმა უპასუხეს, ჩეხები თანასწორობას როდი ეძებენ, ისინი სცდილობენ იმ ოლქებიდან, სადაც ჩეხებს გარდა გერმანელებიც ცხოვრობენ, გერმანელი მოხელეები განდევნონო. კამათის დროს მლადოჩეხს ბრჟეზანოვსკის და გერმანელ საერო პარტიის წევრს ალბრეხტს შეტაკება მოუვიდათ. ბრჟეზანოვსკიმ უსაყვედურა ალბრეხტს, დედაშენი ჩეხის ქალი იყო და თვითონ შენც ჩეხებისაგან გამდიდრდიო. ალბრეხტმა მუშტი მოუღერა ბრჟეზანოვსკის და დაუძახა: „ცრუ“ და „საძაგელი კაცი“ ხარო. წესიერება ძლივს აღადგინეს, მაგრამ მალე ისევ უწესოება მოხდა. დეპუტატმა სეგნალმა ჩეხურად დაიწყო ლაპარაკი. შენერერმა ამხანაგებითურთ მოითხოვა, ჩეხ-დეპუტატს ლაპარაკი აეკრძალოსო. პანგერმანისტმა ბერგერმა დაუყვირა ჩეხებს: „პოლიტიკაში—ქუჩის ბიჭები ხართო“. ამ სიტყვების თქმა და უწესოების მოხდენა ერთი იყო. ჩეხი დეპუტატები ბერგერს ეცნენ, გარს შემოეხვივნენ და ლანძღვა-გინება დაუწყეს. პანგერმანისტები და ვოლფი კიდევ ბერგერის საშველად გაქანდნენ. სინემ რეიხსრატის ვიცე-პრეზიდენტმა დროებით სხდომა არ დახურა, ხმაურობა და ლანძღვა-გინება ვერ მოაშლევინა დეპუტატებს. როცა ხელმეორედ სხდომა დაიწყო, ვიცე-პრეზიდენტმა შენიშვნა მისცა ბერგერს. პანგერმანისტებმა პროტესტი გამოუცხადეს ვიცე-პრეზიდენტს და ყვიროდნენ: „ვიცე-პრეზიდენტი გერმანელი ჩეხიაო, ლეოპოლდის ორდენს მიიღებსო“. პანგერმანისტებმა და ჩეხ-რადიკალებმაც ხელმეორედ დაუწყეს ერთმანეთს ლანძღვა. დასასრულ წინადადების დაუყოვნებლივობა უარ-ჰყო რეიხსრატმა.

## ახალი ამბავი

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების იმ კომისიას, რომელსაც **ღვინის სიყალბის საწინააღმდეგო** საშუალებათა შემუშავება ჰქონდა მინდობილი, განუხილავს მოსკოვის მეღვინეთა და მევენახეთა საზოგადოების პროექტი, რომელიც ურჩევს „ბანდეროლი“ იყოს ხმარებაში შემოღებული, რომ ამით სიყალბე მოისპოსო. კომისიამ ამ საშუალების შემოღება მეტად სამძიმოდ იცნო ჩვენში წვრილ მეღვინე-მევენახეთათვის: ამით კარგად ისარგებლებენ მხოლოდ მსხვილი ვაჭრები და ძლიერ შეავიწროებს წვრილ-მოვაჭრეთაო. ამიტომაც ღვინოზე ბანდეროლის შემოღება არ მოიწონა. არც ის მოიწონა, რომ მეღვინე-მევენახეთ გაეწეროთ გადასახადი. რომ ამ ფულით კონტროლი დაარსდეს სიყალბის წინააღმდეგაო. კომისია იმ აზრს დაადგა, რომ გაწერილი გადასახადი კიდეც რომ შემოვიდეს, ძნელია თვით კონტროლის გამართვაო.

✦ განსვენებულის ი. გ. თამამშევის სახელობაზე პეტერბურგის უნივერსიტეტში **სტიპენდიის დანიშვნის** შესახებ ქალაქის სკოლათა გამგე კომისიას შეუმუშავებია წესები და მოკლე ხანში წარუდგენს დასამტკიცებლად საბჭოს. კომისია ითხოვს, რაც შეწირულ ათას თუმნის სარგებლიდან სტიპენდიას გადარჩება, ის ფული ქალაქმა სხვა ღარიბ სტუდენტებს დაურიგოს.

✦ **რუსეთიდან გადმოსახლებულთა** დამხმარებელ საზოგადოებას შემწეობა უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის. გამგეობას 20 თუმნის შემწეობა გადაუწყვეტია, მაგრამ საბჭოს საფინანსო კომისია არ დათანხმებულა ამას იმ მოსაზრებით, რომ ქალაქს ისედაც ბევრი აუცილებელი საჭიროება აქვს დასაკმაყოფილებელი, მაშინ როდესაც ფულით ხელ-მოკლეაო.

✦ **თბილისის ავადმყოფთა სამკურნალოს** შუამდგომლობა აღუძრავს მთავარ-მართებლის

წინაშე, რომ მომავალ 1903 წლისათვის 200 თუმნის შეწყობა აღმოუჩინონ ამ სამკურნალოს, რომელსაც განზრახვა აქვს თვალის ექიმები პროვინციებშიაც გაგზავნოს ხოლმე მომავალში.

✦ ქალაქის გამგეობას უთხოვნია მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულისათვის, ნება მოეცეთ მუშტაიდის, საბოტანიკო სკოლისა და საბოტანიკო ბაღის პლანებიდან პირი გადაიღონ, რადგან ამ ადგილების ახლოს სხვა-და-სხვა ცვლილების შემოღება სპირდება მომავალში და ამ მოსაზრებით პლანები საჭირო იქნებაო. მინისტრის რწმუნებულს მარტო მუშტაიდისა და საბოტანიკო სკოლის პლანის გადაღების ნება მიუცია; ბოტანიკურ ბაღის პლანი ჩვენ არა გვაქვს საბოლოოდ შედგენილიო.

✦ სოფ. პრიუტში რომ ავადმყოფობა გაჩენილა, სავეტერინო ექიმის თანაშემწეს რ. მაჭავარიანს [illegible] უცნობა. ამ [illegible] სულ 5 გამხდარა ავად. ბ-ნ მაჭავარიანს დარიგება მოუცია მცხოვრებლებისათვის, როგორ უნდა მოიქცნენ, რომ სენი არ გაძლიერდეს.

✦ ხვალ, 20 ოქტომბერს, ტფილისიდან ახალციხეში და ახალქალაქში მიემგზავრება **ოლქის სასამართლოს სესია**. სესია ამ ქალაქებში დაჭდება 1 ნოემბრამდე.

✦ ლორის-მელიქოვის ქუჩაზე თავ. ბაგრატიონ მუხრანსკის სახლში, ქალთა პირველ გიმნაზიას სადგომი ჰქონდა დაქირავებული რამდენიმე კლასის მოსათავსებლად, მაგრამ [illegible] სადგომი, როგორც [illegible] **სამრეწველოსათვის სახელოსნოს** [illegible]. სკოლათა [illegible] ამ სახლში გადავა.

✦ **ჯარში ახლად გაწვეულთა** დიდ უწესობას [illegible] ქალაქის ქუჩებში. პოლიცმეისტერს მიუწერია ქალაქის სამხედრო საბეგრო საკრებულოს თავმჯდომარისათვის, ქალაქის პოლიციელთა რიცხვი ვერ აუდის ამ უწესოების მოსპობას და გთხოვთ, კენჭით ჯარში გამოსული საჩქაროდ შეამოწმებინოთ ექიმს და სამხედრო უწყებას ჩააბაროთ, რომ ამ გზით მაინც შემცირდეს ჯარში გასულთაგან უწესოებაო.

✦ მოგვივიდა მე-X ნომერი საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილისა“ შემდეგის შინაარსით:

1) ჩვენი ღვთის-მშობლის ხატი—გ. ფარაძაშვილისა; 2) ბედის მაძებარი—ალ. მირიანაშვილისა; 3) სოფელი და მელა—აკაკისა; 4) შაშვი და მელია (თარგმანი)—ბეს. ჯუშაძისა; 5) ათთარი (ლუნკევიჩისა); 6) მელიას თავგადასავალი, ზღაპარი (გაგრძელება)—ალ. ნათაძისა; 7) პატარა დედოფალი (თარგმანი) გაგრძელება—ს. ციციშვილისა; 8) ბედნიერება (ზღაპარი) თარგმანი—ს. კ—სა; 9) ჟან-ბატისტ დიუმა, ბიოგრაფია (თარგმანი)—ან. წერეთლისა, და 10) წვრილმანი.

✦ მეათე უბნის პოლიციის ბოქაულს ტერგრიქუროვს უთხოვნია, დაავალეთ ტრამვაის უსახელო საზოგადოება, რომ მუშტაიდის ვიწრო ქუჩიდან ცხენები სხვა ადგილას გადაიყვანოს, რადგან აქაურობა მეტად გაბინძურდა ცხენებისაგან და ცუდ სუნს აფრქვევს ბაღის გვერდითო. ამ სიბინძურეს ხელს უწყობს აგრეთვე ის გარემოება, რომ ტრამვაის საზოგადოებას თავის მოსამსახურეთათვის პისუარი არ გაუმართავს და, მიგა თუ არა ვაგონი მუშტაიდთან, ქუჩერიცა და კონდუქტორიც საჩქაროდ ამ ვიწრო ქუჩისაკენ მიეშურებიანო.

✦ პოლიცმეისტერი სთხოვს ქალაქის გამგეობას, ძალა დაატანეთ ტრამვაის საზოგადოებას ქუჩებზე ლიანდაგები შეასწოროს, რადგან დიდი საშიშარი ისმის ამ ლიანდაგების უწესრიგობაზეო.

✦ ფოსტისა და ტელეგრაფის სახლის მეეზოვეს, მეათე უბანში, ქუჩაზე, ათი თუმანი უპოვნია და პოლიციის ბოქაულისათვის წარუდგენია. ბოქაულსაც ეს ფული მოსამსახურის ხელით და ქაღალდით პოლიცმეისტერისათვის წარუდგენია, მაგრამ მოსამსახურეს ფულები ჯიბეში აღარ აღმოაჩნდა, როცა პოლიცმეისტერის კანცელარიაში მივიდა: მოსამსახურეს გამოუცხადებია—გზაში, ალბად, ჯიბიდან ამომივარდესო.

✦ ქალაქის სამრეწველო სახელოსნოში მომავალ წელს ორ კლასში უნდათ ვაჟების ჭრაკერვა შემოიღონ; ამისათვის მეორე მასწავლებელ-ქალს მოიწვევენ, ხოლო მასწავლებლის თანაშემწის ადგილს, რომელიც აქამომდე იყო—გააუქმებენ.

✦ პოლიციის მე-5 ნაწილში ნორაშენის ქუჩაზე სტეფან ტერ-სტეფანოვის სახლი მეტად დაძველებულა თურმე. ამის გამო მეხუთე ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას ტეხნიკოსი გაგზავნოს ამ სახლის შესამოწმებლად.

✦ პუშკინის ქუჩაზე ძ—ვის თევზის მაღაზია დაათვალიერა ქალაქის ქიმიკოსმა ბ-ნმა ალიბეგოვმა და ექიმებმა შავერდოვმა და გედალინმა. ორი ფუთი გაფუჭებული თევზი უპოვეს ძ—ვს, აქედან 30 გირვანქა იმდენად გაფუჭებული აღმოჩნდა, რომ სულ მატლები დაჰხეოდა და ხელში იშლებოდა.

## ქუთაისის ახალი ამბები

✦ პარასკევს, 18 ოქტომბერს, ტფილისის რუს დრამატიულ არტისტების დასი ბ. კრასოვის გამგეობით გამართავს ქუთაისის საქალაქო თეატრში წარმოდგენას. წარმოდგენილ იქმნება: 1) „Заза“, პიერ ბერტანისა და შარლ სიმონის ხუთ მოქმედებიანი პიესა და 2) „Волшебные звуки“ გენცის ერთ მოქმედებიანი ეტიუდი.

✦ ახლად დაარსებულს ებრაელთა სკოლაში მისაღებ ყმაწვილების გამოცდა უკვე დაიწყო. შაბათს, 19 ოქტომბერს, სკოლის შენობაში გამართული იქმნება საცეკვაო საღამო სკოლის წყაროს გასაძლიერებლად. ბილეთების ფასი იქმნება მამაკაცებზე 60 კაპ. და ქალებზე 40 კაპ. კვირას, 20 ოქტომბერს აკურთხებენ სკოლის შენობას. ამ დღისათვის საგანგებოდ მომზადებულია ებრაელთა ვაჟებისა და ქალებისაგან შემდგარი მგალობელთა ხორო, რომელსაც ერთ თვეზე მეტია წვრთნის ერთი გალობის კარგათ მცოდნე ებრაელი. ორშაბათიდან სკოლაში სწავლა დაიწყება.

✦ 16 ოქტომბრისათვის დანიშნული ქალაქის გამგეობის წევრის არჩევანი ხმოსანთა დიდის უმრავლესობის სურვილისამებრ გადადებულ იქმნა 19 ოქტომბრისათვის. ამ გადადების მიზეზი ის იყო, რომ წინად დასახელებულმა კანდიდატებმა ყველამ უარი განაცხადეს ყუთის დადგმაზე. ახალ კანდიდატებში წერილით სურვილი განაცხადა მხოლოდ ერთმა ვ. კ. ალშიბაიამ (მეურნეა.). კანდიდატებს გაცხარებული ეძებენ.

✦ კვირას, 20 ოქტომბერს, ქუთაისის საქალაქო თეატრში ვლ. ალექსი-მესხიშვილის გამგეობითა და მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესა „ცქრიალა სიუზანა“, ხუთ მოქმედებიანი დრამა, თარგმანი რცხილაძისა. მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ქ.ქ-ნი ჩხეიძე, ივანიძე, ბ. ნემო და სხ.

## რუსეთის ქრონიკა

✦ სენატმა განმარტა: თუ ქალაქის თვითმმართველობამ შეატყო, რომ რომელიმე უძრავი ქონება, რომელსაც დასაფასებელი გადასახადი აქვს გაწერილი, კარგად ვერ არის შეფასებული, ან ქონების პატრონმა ისეთი ცვლილებანი მოახდინა, რომ წინანდელი დაფასება არ შეეფერება, შეუძლიან თვით-მმართველობას ხელ-ახლა შეაფასოს ცალკე, მარტო ეს ქონებაო.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო ეკონომიამ გამოსცა ცნობები წლევანდელ მოსავლის შესახებ. განყოფილებას ამ საქმისათვის 8 ათას კორესპონდენტის მიერ გაგზავნილ ცნობებით უსარგებლნია. ცნობები ევროპის რუსეთს შეეხება. სულ წელს მოსულა: ჭვავი—**1,346,657** ათასი ფუთი, პური—**808,723** ათასი ფუთი, შვრია—**776,349** ათასი ფ., ქერი—**396,499** ათასი ფ. და ფეტვი—**156,585** ათასი ფუთი. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, წლევანდელი მოსავალი საშუალოზე დიდია.

✦ ფინლიანდიის მთავრობას გადაუწყვეტია ხუთი ხელ-საქმის სკოლის დაარსება. ამ სკოლებში ხელობას შეასწავლიან და სამუშაოს გაუჩენენ შეუძლოთა და გაჭირვებულთ.

✦ უწმ. სინოდმა განმარტა, რომ სასულიერო უწყების სასწავლებლების (სემინარიებისა და სხვების) მასწავლებელთა და კონსისტორიის მოხელეთა შვილები ისევე უნდა მიღებულ იქმნან ამ სასწავლებლებში, როგორც სამღვდელოთა შვილებიო.

## თეატრი

**ქართული წარმოდგენა.** 17 ოქტომბერს ქართულს თეატრში ჩვენმა დასმა წარმოადგინა ორი პიესა—დრამა „ირინეს ბედნიერება“ და კომედია (უკეთ ფარსი) „მარჯვე დღე“. ორივეს შინაარსი კარგად იცის ჩვენმა საზოგადოებამ, ამიტომ არ მოვიყვანთ აქ.

„ირინეს ბედნიერება“ პირველად შარშან ითამაშეს და ყველას ყურადღება მიიქცია იმით, რომ საუცხოვო და უტყუარი სურათია იმერეთის დღევანდელის თავად-აზნაურობის ოჯახობისა. ეს პიესა ქუთაისში შარშან სამჯერ თუ ოთხჯერ წარმოადგინეს და ყოველთვის ინტერესით ისმენდა საზოგადოება. ასეთი ინტერესი მარტო იმით არ აიხსნება, რომ პიესის შინაარსი იმერულის ცხოვრებიდან იყო. ჩვენის აზრით, ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ „ირინეს ბედნიერება“ იშვიათის ხელოვნებით იყო წარმოდგენილი. ჩვენ ორჯერ დავესწარით ქუთაისის წარმოდგენას და ყველა არტისტი ისე იყო თავ-თავის ალაგას, ისე შეეთვისებია და შეეგნო ყველას ის ტიპი, რომელსაც თამაშობდა, ისე ბუნებრივად იყო მოწყობილი ლხინი, სალამთაძის და რადამიშვილის ჩხუბი, არეულობა, ქალების ყვირილი, რომ სრული ილიუზია იყო შექმნილი და გვგონებოდათ, რომ ნამდვილად სადღაც იმერელ აზნაურიშვილის სახლში ხართ.

ამასვე ვერ ვიტყვით აქაურის დასის თამაშობის შესახებ; სრულებით ვერ ეხერხებოდათ ჩვენს არტისტებს იმერულის ცხოვრების დახატვა. შედარებაც არ შეიძლება იმისა, რაც იყო ქუთაისში და რაც წარმოადგინა აქ გუშინ ჩვენმა დასმა. ფილიპეს როლს თამაშობდა (როგორც ქუთაისში) ბ. ბალანჩივაძე, რომლის თამაშს ალტაცებით მიეგებნენ მაყურებელნი. ტანისამოსით, გრიმით, მიხვრა-მოხვრით, კილოთი, ხასიათით—საზოგადოების წინ იდგა ტიპიური იმერელი აზნაური, რომლის ერთი სახე იწვევდა ინტერესს. ეს სახე შეიძლება პირდაპირ დახატოთ ქაღალდზე და სიამოვნებით უცქიროთ, როგორც მხატვრულს ნაწარმოებს. მაინც უნდა ვურჩიოთ ბ. ბალანჩივაძეს, ერიდოს იმ მცირე გადამეტებულობას, რომელიც ხანდახან წამოცდება ხოლმე, რომელიც ავნებს ფილიპეს ტიპის სინამდვილეს. ფილიპე თავის თავად სასაცილოა და აქტიორი უნდა ერიდოს, ცოტაც არის, ფარსული ხასიათი მისცეს მას.

საზოგადოებამ, როგორც ვსთქვით, ალტაცებით მიიღო ქუთაისელი გასტროლიორი და მრავალის ტაშის ცემით დააჯილდოვა. რაც შეეხება სხვა მოთამაშეებს, არც ერთი არ იყო კარგი. თვით იმ აქტიორებსაც, რომლებიც იმერეთიდან არიან და უნდა ესმოდეთ იმერული ხასიათები, ვერ შეეთვისებინით იმერეთის ცხოვრება და ტიპები. არც ბ. სვიმონიძის და არც ბ. გუნიას თამაშმა ჩვენ არ დაგვაკმაყოფილა. პირველს ძალა-უნებურად ვადარებთ ქუთაისში აბესალომის როლის მოთამაშეს ბ. ქუჯს და უპირატესობა უნდა დავუთმოთ უკანასკნელს. ბ. სვიმონიძის თამაში ჰქა-იქ იყო კარგი ადგილები, ნაწყვეტები, მაგრამ მან ვერ წარმოგვიდგინა ტიპი. სუსტი იყო ქ. ლეჟავა ირინეს როლში. ქ. გაბუნია-ცაგარლისას, ეტყობოდა, ეძნელებოდა ეკას როლი, მაგრამ მისმა დიდმა ნიჭმა ცოტათი მაინც დასძლია როლის სიძნელე. არაფერს არ ჰგავდა ვიქტორი—ბ. ლანდი, არც როლი იცოდა, ვერც ერთს ადგილას დადგომას ახერხებდა, ვერც სიარულს. სწორედ გვეზარებოდა მისის თამაშის ცქერა და სასურველია, რომ ბ. ლანდი ნურც თავის-თავს დასტანჯავს ასეთს ძნელს როლებში და ნურც საზოგადოებას დასტანჯავს.

წინათაც აღვნიშნეთ, რომ ზოგიერთ ჩვენს არტისტებს არ უყვართ ბუნებრივად იყვნენ და ილაპარაკონ სცენაზე. რაღაც სიამოვნებას ჰგვრის ზოგიერთებს, მაგალითად, „რ“-ს რამდენჯერმე გამოთქმა: „არრრა!“, „არრრასოდეს!“. არ უყვართ იმ მხარეს და წრის ხასიათის და ჩვეულებების დაცვა, რომლის ცხოვრებას თამაშობენ, არც დროს ანგარიშობენ, შემოსავალი კარი ხან ერთის მხრითაა მათთვის, ხან მეორეს; ვის არ უნახავს, მაგ., ასეთი სცენა: ზარს რეკენ; საჭიროა განსაზღვრული დრო, რომ კარებთან მივიდნენ, კარი გააღონ, მაგრამ ზოგიერთი ჩვენი არტისტი ამას ივიწყებს და დარეკავს ზარს თუ არა, იმ წამსვე შემოვარდება სახლში, თითქოს იმის თქმა უნდოდეს, სცენაზე მართლა კი არაა კარებიო.

განსაკუთრებით ემჩნეოდათ აქტიორებს ეს უბუნებრივობა ლხინის დროს ფილიპესას. ისე მიდიოდ-მოდიოდნენ, ისე სჭამდნენ და სვამდნენ, თითქოს ნაბძანები ჰქონდათ ეს. ერთი ერთს მხარეს გადიოდა სცენიდან, მეორე—მეორე მხარეს. სცენის გარედაც ლხინი და თამაშია, მაშ რად გადის უმრავლესობა მარჯვნივ და რამდენიმე კაცი კი მარცხნივ?

წარმოდგენის დროს ყველაფერში უნდა იყოს დაცული ბუნებრივობა და სინამდვილე, უბრალო წვრილმანშიაც კი, თორემ ისე არასოდეს არ იქნება სრული შთაბეჭდილება.

„მარჯვე (ან ბედნიერი) დღე“ საუცხოვოდ ჩაატარეს ქ. გაბუნია-ცაგარლისამ და ბ. ბ. ბალანჩივაძემ, გედევანოვმა და შათირიშვილმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კიდევ უნდა ვსთქვათ: საჭიროა და საჭირო რეპერტუარის განახლება, საჭიროა სერიოზულის პიესების დადგმა.

ბ.

—

დღეისათვის სახალხო თეატრში დანიშნულია ქართული წარმოდგენა. წარმოადგენენ გაბ. სუნდუკიანცის კომედიას „დაქცეულ ოჯახს“. წარმოდგენა დაიწყება საღამოს რვის ნახევარ საათზე. სცენის მოყვარენი ამავე კომედიას ორშაბათს, 21 ოქტომბერს, გაიმეორებენ რკინის გზის სახელოსნოების თეატრში.

## წერილი ქუთაისიდან

ქუთაისის საზოგადოების კრება

ორშაბათს, 14 ოქტომბერს, საღამოს რვა საათზე, ქუთაისის კლუბის დარბაზში, ბარონ ბუკსჰევდენის თავმჯდომარეობით, მოხდა ქუთაისის საზოგადოების კრება, რომელსაც დაესწრნენ: იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი, ქუთაისის გუბერნატორი მეუღლითურთ, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე, ვიცეგუბერნატორი, ქალაქის თავი დ. ა. ლორთქიფანიძე, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები, ქუთაისის ბავშთა თავშესაფრის თავმჯდომარე ტ. გ. ნაზაროვისა, ქალაქის საბჭოს ხმოსნები და დიდძალი საზოგადოება. კრების დაწყებისთანავე თავმჯდომარემ აუხსნა საზოგადოებას კრების საგანი, გააცნო, რა კარგს მდგომარეობაშია საზღვა-გარედ უპატრონო ბავშვთა თავშესაფრები, დარიბთა დამხმარე საზოგადოებანი და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებანი, და რა ცუდს მდგომარეობაშია ამ გვარი დაწესებულებანი რუსეთში. შემდეგ აუხსნა საზოგადოებას, რა ცუდი შედეგი მოსდევს, როცა ყმაწვილი სრულიად უპატრონოდ რჩება, ეჩვევა ლოთობას, ქურდობას, ავაზაკობას და რამდენად მავნებელია ეს გარემოება საზოგადოებისათვის. „ამიტომ ჩვენი პირდაპირი ინტერესიაო, სთქვა ბარონმა, ჩვენვე ვიზრუნოთ ამ უპატრონო ბავშთა პატრონობაზე: მივცეთ სწავლა, შევაყვაროთ შრომა და გამოვიყვანოთ საზოგადოებისთვის სასარგებლო წევრებად“. დასასრულ სთხოვა საზოგადოებას, ჩაეწერილიყვნენ იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის სახელობაზედ არსებულის უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზოგადოების საპატიო წევრებად. „საპატიო წევრად ჩაწერის პირობები შემდეგიაო, სთქვა: ან ყოველწლიური გადასახადი 100 მანეთი, ან ერთდროული 2000 მანეთი, რისთვისაც წევრთ მიეცემათ მეშვიდე კლასის ჩინი, დაჯილდოებულ იქმნებიან ორდენებით და მუნდირის ტარების ნება ექმნებათო“. ამ პირობების გაგონებაზედ ეს აუარებელი საზოგადოება, რომელსაც აქამდის გაგონილი ჰქონდა—ვითომც მხოლოდ ერთდროული 100 მანეთის შეტანაა საპატიო წევრისთვის საჭირო, მეტი არაფერიო, აიშალა და დასტოვა კლუბის დარბაზი. დარჩა მხოლოდ სამი კაცი: ი. ზ. გველესიანი, რომელმაც ამას წინად 5000 მანეთი გადასდო სტიპენდიის დასაარსებლად, ს. ი. წერეთელი და ბ. ოჯანეზოვი, რომელთაც ისურვეს საპატიო წევრობა. ნამდვილ საპატიო წევრებად კი, როგორც ყველგან, საწევრო ფულის შეუტანლად—მიღებულ იქმნენ: ადგილობრივი ეპისკოპოსი, ბ-ნი გუბერნატორი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, ვიცეგუბერნატორი, ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე და ქუთაისის მოურავი, რომელთაც დაევალათ ახალის წევრების შეძენა.

ლონ-გალიანი.

## წერილი სამტრედიიდან

აბრეშუმის ამოსახვევ ქარხანაში მომუშავე ქალები.—საკვირაო სკოლა.—ქუჩების შეკეთება.—ქურდი.

აქ არსებულ ფირმის ილიინის აბრეშუმის ამოსახვევ ქარხანაში დღე-დღეზე მატულობს მუშა ქალთა რიცხვი. ამჟამად 200 ქალია ქარხანაში. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მოკლე ხნის (3—4 თვ.) განმავლობაში 9 ქალი დაშავდა. თუ ამის მიზეზებს დროით არ მიექცა ყურადღება, ცხადია, სხვა ქალებიც არ ასცდებიან დაშავებას.

ერთი კვირაა მას შემდეგ, რაც აქაურ 2 კლასიან სკოლაში მასწავლებელთა კრება უნდა მომხდარიყო საკვირაო სკოლის შესახებ მოსალაპარაკებლად, მაგრამ ამ დროს ბაზრის ბოქაულის მოადგილე ბ-ნი ს. იაშვილი აქ არ იმყოფებოდა და ამიტომ კრება შემდეგისათვის გადაიდო. ვუსურვებთ ამ კეთილ საქმეს განხორციელებას. საკვირაო სკოლა აქ დიდ სარგებლობას მოიტანს. სხვათა შორის, მეცადინეობას შეუდგებიან რკინის გზის დეპოს მუშები და ილიინის ქარხანაში მომუშავე ქალებიც.

აქაურ ბაზრის ბოქაულის მოადგილემ ვაჭრებს გამოუცხადა დალორთ-ხოლრებულ ქუჩების შეკეთება, მაგრამ, ჩვეულებრივად, ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად ყურიც არავინ გაიბერტყა.

ამ რამდენისამე დღის წინად აქაურ ვაჭრებს პ. ფინცულაიასა და თ. ჩომახიძეს დღისით დახლიდან მოჰპარეს 325 მან. ქურდი ვერ აღმოაჩინეს.

**ხანდრო**

## წერილი რაჭიდან

ყაჩაღები

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ეს რამდენიმე ხანია, რაჭა-შორაპნის მაზრაში დათარეშობენ შორაპნისავე მაზრის სოფელ ზოდიდან კაცის კვლის შემდეგ ყაჩაღად გავარდნილი ბუზალაძეები. ორ მაზრის ადმინისტრაციასა აქვს იმათთან საქმე; სდევნიან კიდეც, მაგრამ მაგარი ისაა, რომ იმათ მოქმედებას ვერაფერ ნაყოფი მოსდევს, თუმცა შორაპნის მაზრის ადმინისტრაციამ ორი პოლიციელი დაჰკარგა იმათ დევნაში. ახალ-ახალ მთვარესავით ხან ერთს მაზრაში იჩენენ ხოლმე თავს ეს ყაჩაღები და ხან მეორეში. 15 ოქტომბერს რაჭა-შორაპნის საზღვარზე, შქმერის მთებში, გაძარცვეს მგზავრები როგორც რაჭიდან ტფილისში მომავალი, ისე სადგურ დარკვეთიდან სამშობლო სოფელში მიმავალი რაჭველები. ზოგიერთს ტანისამოსიც კი გაჰხადეს. ამის მოწმე მე თვითონ გახლავართ, რადგან მეც იქ ვიყავი. ჩემდა საბედნიეროდ, ფული იკმარეს და სხვა არა მომთხოვეს-რა. სასურველია, ვისგანაც ჯერ არს, ყურადღება მიაქციოს და ალაგმოს ყაჩაღების თავგასულობა.

**ვანილ სირსონელი.**

## დაბა-სოფლები

**ხაშური** (ქართლი). აქ ყველა დუქანსა და მაღაზიაში ჰყიდიან ღერბის მარკებს. სამწუხაროდ, მეტად დიდ ფასს იღებენ: 60 კაპეიკიან მარკაში იღებენ 70—75 კაპეიკს, 80 კაპეიკიანში 90—95 კ. ხშირად მეტსაც, თუ საჭირო ჩაიგდეს ვინმე. მარკები ხშირად სჭირდებათ აქ გლეხებსაც და რკინის გზის მოსამსახურეებსაც. ყოველთვის კაცმა გორში (ხაზინაში) როგორ იაროს ერთის ან ორის მარკისათვის! ნუ თუ არ შეიძლება მოეწყოს მარკების გაყიდვა აქ, ან დაუგვალოს ვაჭრებს, რომ დიდი ფასი არ აიღონ?..

ნაკლებ დღეს არც აქაური მეფურნეები გვაჩენებენ. ნიხრით პირველის ხარისხის პური უნდა გაიყიდოს $3^{1}/_{2}$ კაპ., მეორესი 3 კ., მესამესი $2^{1}/_{2}$ კ. მაგრამ ისინი პირველ ხარისხისაში იღებენ 4 კ., მეორისაში $3^{1}/_{2}$ კ. ხოლო მესამისაში 3 კ. თუ რამე უთხარი, კარგადაც გაგლანძღავს. ამას გარდა ჰყიდიან ხშირად სამი-ოთხი დღის გამომცხვარ პურს, თუ მიუხვდი, გეტყვის: „მეტი არა მაქვს, გინდ წაიღე, გინდ მომშორდით“.

**გ. ფანავული.**

## სასამართლო

**ქურაში გაქურდვა**

ხუთშაბათს, 17 ოქტომბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია, სხვათა შორის, საყურადღებო საქმე ახალციხის მოქალაქის მიკირტიჩ ალექსანოვისა, რომელსაც ტონოევის გაქურდვა ჰბრალდებოდა. საქმის გარემოებას საბრალმდებლო ოქმი ასე გადმოგვცემს. სავაჭროთ ნივთების გამყიდველ ამხანაგობის მოსამსახურეს პეტრე ტონოევს ამა წლის 10 ივნისს აუღია ჯამაგირი (60 მან.) და სოფელში წასვლა დაუპირებია. როდესაც წყლის პირის ქუჩაზე გაუვლია, შეჰხვედრია ორი უცნობი კაცი, რომელთაც კენწებითა და ფულის მსგავს თუნუქის ნაჭრებით სავსე ქისა დაუგდიათ. ტონოევი მიმხვდარა, რომ ქისა განგებ დააგდეს და არ აუღია. მაშინ უცნობნი მიცვივნიან და წაუქცევიათ. ერთს ხელები დაუმაგრებია და პირზე ხელი დაუფარებია, ხოლო მეორეს ჩაუყვია ხელი უბეში, ქისა 60 მანეთიანად ამოუღია და იმის ნაცვლად კენწებიანი ქისა ჩაუდვია. ვიდრე ტონოევი წამოდგებოდა და საშველად ვისმეს დაუძახებდა, ბოროტ-მოქმედნი გაქცეულან და მიმალულან. 19 ივნისს ტონოევს ბაზარში უცვნია ერთი გამცარცველთაგანი, რომელიც პოლიციას დაუპატიმრებია და პასუხის გებაში მიუცია. უცნობი ახალციხის მოქალაქე მიკირტიჩ ალექსანოვი გამოდგა. ალექსანოვი სასამართლოში გამოტყდა და სთქვა, რომ ამგვარი საქმეები მე და ჩემმა ამხანაგმა ებრაელმა აპრიამ დავითაშვილმა წინადაც რამდენჯერმე ჩავიდინეთო. მხოლოდ ეხლა ფული დავითაშვილმა მოსტაცა, მე-კი ქისა მიუგდე მარტო ტონოევსაო.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო მიკირტიჩ ალექსანოვი და გადაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 4 წლით გაგზავნა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**17 ოქტომბერი**

**ნიუ-იორკი.** გენერალი ურიბე 1500 კაცით დამორჩილდა კოლუმბიის მთავრობას რიო-ფრიოსთან. ორთავე მხარეს დიდი ზიანი მოსვლიათ.

**სოფია.** იანქოვი ვარდარას იქითა მხარესაა კარგად გამაგრებული.

**კოპენჰაგენი.** კომიტეტი შესდგა, რომელიც ფრედენსბორგის სასახლის ბაღში იმპერატორის ალექსანდრე მე-III სახელობაზე ძეგლის აგების საქმეს განაგებს.

**მოსკოვი.** პურის ბირჟის საზოგადო კრებამ მოსკოვში სტიპენდიები დააარსა ფინანსთა მინისტრისა და იმის ამხანაგის კოვალევსკის სახელობაზე.

**ლონდონი.** 16 ოქტომბერს ბანერმანმა სიტყვა წარმოსთქვა აირში (შოტლანდია) და სიამოვნებით აღნიშნა, რომ სამხრეთ-აფრიკაში ისე მოეწყო საქმე, როგორც ლიბერალებს ჰსურდათ. კიტჩენერის ცდა, როგორც ეტყობა, სავსებით დაიცავს ინგლისის პატრონობას. ორატორი სიხარულით ეგებება ჩემბერლენის მოგზაურობას, რადგან მაშუალებას ქნება უჩვენოს, რომ ინგლისის ხალხი სწორედ იმისათვის არსებობს, რომ სხვა ხალხებს მოუაროს.

**იალტა.** ოსმალეთის განსაკუთრებული ელჩები ტურხან-ფაშის მეთაურობით ჩამოვიდნენ.

**ლონდონი.** გაზ. „ნაციონალ რევიუ“ ინგლისის საგარეო პოლიტიკაზე სწერს და იგონებს, რა მდგომარეობა დაიჭირა ტრანსვაალის ომის დროს გერმანიის მთავრობამ და ხალხმა, როდესაც ცხადად დამტკიცდა გერმანიის ინგლისისადმი სიძულვილი. ამას უპირდაპირებს რუსეთის გულ-ახდილ პოლიტიკას. სპარსეთის ზღვის ყურეს აქცევს ყურადღებას გაზეთი და აფრთხილებს ინგლისელებს, ბაღდადის გზის დახმარებას თავი დაანებონ, რადგან რუსეთთან საზოგადო შეთანხმება უკეთესიაო.

**პეტერბურგი.** გზათა სამინისტრომ ყველა რკინის გზებს დაავალა, სამგზავრო მატარებლები ელექტრონით გაანათეთო.

— ევრეინოვისას, რომელიც პირველად გრომოვის ცოლი იყო, უარი უთხრა საოლქო სასამართლომ რატკოვ-რაჟნოვის წინააღმდეგ გამოცხადებულს საჩივარში.

— საბჭომ დაადგინა დღესასწაულები იმ რიგად ვიქმოთ, როგორც ეხლაო.

**18 ოქტომბერი**

**ეკატერინოსლავი.** „პრიდნეპრ. კრაი“ იტყობინება, რომ ეკატერინოსლავის ოლქის სასამართლოში გაარჩიეს საქმე გლეხის პერესადისა, რომელსაც მე-1525 და 1529 სტატიების დარღვევა ჰბრალდებოდა. სასამართლომ ხუთის წლის ვადით სატუსაღო როტაში გაგზავნა გადაუწყვიტა ბრალდებულს. განაჩენის წაკითხვის შემდეგ, პერესადამ ყელი გამოიჭრა დანით. ექიმებმა დახმარება გაუწიეს, მაგრამ პერესადას სიცოცხლე მაინც განსაცდელშია.

**რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიისა და ბოლივიის ჯარებს ბრძოლა მოუხდათ. შეტაკების მიზეზი ის იყო, რომ ბრაზილია იმ კონცესიას არ დასთანხმდა, რომელიც ბოლივიამ აკრაში მისცა ამერიკელ სინდიკატს. ბრაზილიას ეშინიან, აკრა რომ ამერიკას დაეთმოს, გაი თუ ამერიკამ ეს საბუთად გამოიყენოს და მერე მდინარე ამაზონკაზედაც გაბატონდეს და ხის ნების ვაჭრობასაც კონტროლი გაუწიოს.

**სარატოვი.** დ. გ. ზეიფერტის ფირმა კოტრად გამოაცხადეს.

**ლონდონი.** პიტსბურგიდან (ამერიკაშია) იტყობინებიან, რომ არსდება ქვა-ნახშირის სინდიკატი. თანხა სინდიკატს 24 მილიონი გირვ. სტერლინგი ექნება.

**პორტორიკო.** კუნძულზე ბევრ ადგილას პოლიტიკური უწესობა მოახდინეს. 2 კაცი მოჰკლეს და 15 მძიმედ დასჭრეს.

**პორტ-ოფ-სპეინი.** საფრანგეთის კრეისერის დ'ესტრეს უფროსმა პრეზიდენტ კასტრას წარმომადგენელი იძულებულ-ჰყო კრეისერზე მოსულიყო და მოწმების თანადასწრებით პრეზიდენტის სახელით ბოდიში მოეხადა იმისთვის, რომ ფრანგულ სატელეგრაფო საზოგადოების დირექტორი უკანონოდ დაეტუსაღებინა.

**სიმლა.** ზოგიერთმა მაჰარაჯამ წინადადება მისცეს მთავრობას, მეაქლემეებს მოგცემთ სომალის ქვეყანაში სამხედრო სამსახურისათვისო.

**ვაშინგტონი.** ჩინეთის ელჩი ცდილობს დაარწმუნოს სახელმწიფოები, რომ ჰააგის სამედიატორო სასამართლოს მიენდოს ამ საკითხის გადაწყვეტა: სამხედრო კონტრიბუცია ოქროს ფულით უნდა გადაიხადოს ჩინეთმა, თუ ვერცხლის ფულით.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის მთავრობა აცხადებს, ინგლისისა და ოსმალეთის დავა იემენსა და ადენს იქით მდებარე ადგილების მიჯნების თაობაზე მალე მორიგებით გათავდებაო.

**ლენქორანი.** ლენქორანიდან მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოხელეები წავიდნენ, რომ კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირას უცხო მცენარეების კულტურისათვის ადგილები დაათვალიერონ.

**იალტა.** ხელმწიფე იმპერატორს შინაგან საქმეთა მინისტრი და სტამბოლის ელჩი წარუდგნენ.

ოსმალეთის საგანგებო ელჩი სადარბაზოდ მივიდა გარეშე საქმეთა მინისტრთან და შემდეგ ზინოვიევის სანახავად წავიდა.

**ეკატერინოსლავი.** ნოქრების საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების ფულით ექვს კლასიანი კომერციული სასწავლებელი არსდება.

**სოფია.** მთავარმა ფერდინანდმა გერმანიის იმპერატორისაგან დეპეშა მიიღო. დეპეშაში იმპერატორი მადლობას უცხადებს მთავარს იმისათვის, რომ ვარნაში გერმანიის გემი კარგად მიიღესო.

**კასელი.** დანიის მეფის მემკვიდრე სადამოს მოვიდა და თავის ჰუსარის პოლკი ინახულა.

**ლონდონი.** კრანბორნმა გამოაცხადა დეპუტატთა პალატაში: პოლკოვნიკი სვაინი ბერბერაში მივიდა, პოლკოვნიკი კობე-კი ბოჰოტლაში დატოვაო. ადგილობრივი ჯარი კარგ მდგომარეობაშიაო.

**პარიზი.** სენატმა 163 ხმის უმეტესობით 90 წინააღმდეგ მოიწონა მთავრობის განცხადება საკონგრეგაციო სკოლების დახურვის შესახებ.

დელონკლემ წერილი მისწერა დელკასეს და სასტიკად გაჰკიცხა სიამთან შეთანხმება. დელონკლი პალატაშიაც შეეკითხება ამ საქმეზე მთავრობას.

**ბოცენი.** ზალცბერგის ხეობაში ორჯელ მიწა შეინძრა, მიწის ქვეშაც ჴრიალი ისმოდა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

## გამოსავალი ცნობანი

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა**

**15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვოსა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:** საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.)

**გ) ბაქოდან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:**—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).


## განცხადებანი

**ქუთაისში**

ხამ. ბ. თოფურიას

**სამკურნალო,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოშია 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—19)

**ახალი სახურავი,**

რომელზედაც პატენტია აღებული

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

**ი. შელენგოვსკის და ამხანაგობისა**

ბათუმში.

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ

**ამხანაგობის წარმომადგენელნი:**

ტფილისში **გ. მულიარსკი**

(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში **ვ. ჭილაძე**

(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.) (50—45)